ბაგრამ საეჭვოა, რომ ესოდენ პრიმიტიულმა ხერხმა, რომელიც ნავარაუდევია თავისი დამოუკიდებლობისა და შეხედულებათა „ორიგინალობის“ დემოსტრირებისათვის, შეცდომაში შეიყვანოს ვინმე თავისუფალი გერმანიის კავშირის მოწინააღმდეგეთაგან და მით უმეტეს მეგობართაგან.

ეს ახალი „პარტია“ დასავლეთ ბერლინში უკვე გამოიცნეს როგორც „მისტიუუებელი იხვი“ ბავარიელი ულტრა ბერაუსისა.

სხვათა შორის შტრაუსი აქ ცნობილია დასავლეთ ბერლინის კიდევ ერთი მიჰაკიფერი პარტიის „ნათლიად“. თავისუფალი გერმანიის კავშირის ღვიძლი და ატარებს „გერმანული სოციალური კავშირის“ ფრიად პრეტენციოზულ სახელს. მაგრამ მისმა არსმა ერთბაშად იჩინა თავი. გერმანიის სოციალური კავშირის შემქმნელებმა არ დაიყოვნეს და განაცხადეს, რომ 1975 წლის მაისის არჩევნებში ისინი ქრისტიან დემოკრატთა კავშირთან, ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან და თავისუფალი გერმანიის კავშირთან ერთიანი ფრონტით, ე. ი. სხვა რეკანსისტულ პარტიებთან ერთად გამოვლენ. თანაც ცნობილი გახდა, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაჩნდებოდა, შტრაუსის ნაშიერმა გამოაცხადა, რომ სოლიდარულია თავისუფალი გერმანიის კავშირის პროგრამასთან.

დასავლეთ ბერლინის პროგრესული საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ამ „ნაციონალისტური აღმონაცენით“. მას მკაფიოდ აქვს შეგნებული, თუ რა საშიშროება შეიძლება გამოიწვიონ მკაფიო ყავისფერფრთებიანმა „მისატყუებელმა იხვებმა“.

(ახალი ამბების საagენტო).

ინფორმაციის ბიურო

ევროპელ კომუნისტთა ინტერვიუ

ბუენოს-აირესი, 6 თებერვალი. (საკდესი). არგენტინის ყოველკვირეული „ნუესტრა პალაბრა“ აქვეყნებს ცნობებს მორიგ რეპრესიებზე ჩილეში, აგვიწერს, თუ როგორ უსწორდება ფაშისტური ხუნტა პატრიოტებს.

ამ ცოტა ხნის წინათ სანტიაგოში, წერს „ნუესტრა პალაბრა“, გაიმართა პროცესი სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის „საქმის“ გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ „ამბოხება“. ტრიბუნალმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჩილეში ცნობილი „სიკვდილის გენერალი“ არელიანო სტარკი, ყველა განსასჯელს სანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. მსჯავრდებულთა შორის არის პოდპოლკოვნიკი ფერნანდო რევეკო ვალენსუელა, რომელმაც უარი თქვა გაეცა ბრძანება ცეცხლი დაეშინათ „ჩუკიკამატის“ სპილენძის მაღნის საწარმოს მაღაროელებისათვის, აგრეთვე შეესრულებინა არელიანო სტარკის განკარგულება 12 პატიმრის დასვრეტის შესახებ, მეორე მსჯავრდებულმა — პოდპოლკოვნიკმა ეფრანინასამდეგ. ლეიტენანტმა კარლოს პერესმა, რომელმაც უარი თქვა დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობაზე, პროცესზე განაცხადა: „შეიარაღებულ ძალებში შევედი, რათა დავიცვა სამშობლო და არა იმისათვის, რომ ჩემი თანამოქალაქეების ჯალათი ვიყო“.

სანტიაგოსა და ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში ჩხრეკა-დაპატიმრების ახალი სერია განხორციელდა.

წამებამ და ტერორმა ვერ დაამინა ჩილელი პატრიოტები. ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი დღითიდღე ძლიერდება.

დევნიან კულტურის მოღვაწეებს

კარაკასი, 6 თებერვალი. (საკდესი). ჩილეს კულტურისა და ხელოვნების პროგრესულმა მოღვაწეებმა დეკანოზ ოლაბარიაგა ამ ბამართულ პრეს-კონფერენციაზე ჩილელმა კინემატოგრაფისტმა პაბლო პერელმანმა.

ჩილეში ახლა ფაშიზმის შავბნელი წყვდიადია. ქვეყანაში გამეფებულია ტერორი, შიშილი, უმუშევრობა. ფაშისტური ხუნტა ძალადობენ, მხეცურად უსწორდება უდანაშაულო ადამიანებს, კულტურული ცხოვრება ჩილეში ჩაკვდარია, თქვა პ. პერელმანმა. რეაქციული მხედრიონის ბატონობის პერიოდში დაამთავრეს მხოლოდ ერთი ფილმი — „აღმქმელი ქვეყანა“, მაგრამ მისი პრემიერა არ შემდგარა: სეანსის დაწყების წინ მოსულმა პოლიციამ კონფისკაცია უყო ფაშისტი ცენზურების მიერ ძალზე შეკვეცილ ლენტს და დაუპატიმრა მისი შემქმნელნი. პ. პერელმანმა მოიყვანა გრძელი სია ცნობილი ჩილელი კინორეჟისორების, ოპერატორ ე ბ ი ს და აქტიორებისა, რომლებიც საპატიმროში ჩასვეს ან დახვრიტეს ფაშისტებმა.

სოციალისტურ ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკია



ჩ რდილოეთ ჩეხიაში, ტუშიმიცეში 1971 წელს დაიწყო რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრი თბოელექტროსადგურის მშენებლობა. ჩეხოსლოვაკიელ ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად ამ საერთაშორისო ახალგაზრდულ მშენებლობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სამშენებლო რაზმები. 1973 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ ჩაბარდეს 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ბლოკები. სადგურის მთლიანად ამუშავების შემდეგ იგი ჩაირთვება სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემაში.

სურათზე: გენერატორის სტატორის მონტაჟი.

ჩეტკა-სკდესის ფოტო.

გ დ რ

ჩილელი ფსიქიოგების მონაწილეობით

ბერლინი. (საკდესი). „ჯარის-კაცის ღამე“ — ასე ეწოდება პიესას, რომელიც გვიხატავს ჩილეში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების კულისებსიქითა მხარეს. პიესის დადგმას როსტოკის სახალხო თეატრში ახორციელებენ ჩილელი მსახიობები „ტეატრო ლაუტაროს“ დასიდან, რომლებიც ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ბალტიისპირა ქალაქში ცხოვრობენ და მუშაობენ.

პიესის ავტორია ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ფილოსოფიის პროფესორი სანტიაგოელი კარლოს სერდა, რომელმაც თავი დაადწია ფაშისტური ხუნტის დევნას და დატოვა ქვეყანა.

კუბა

მრეპორტიორების მოწოდების პასუხად

ჰავანა. დამკვრელურად შრომობენ ამ დღეებში კუბელი ჩაქრის ლერწმის მჭრელები — მაჩეტეროსები. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად უდიდესი ეფექტიანობით დაამთავრონ საფრა. დღეისათვის 60-ზე მეტმა ბრიგადამ თვითეულმა უკვე მოჭრა მილიონი და მეტი არობი (ერთი არობი უდრის 11,5 კილოგრამს) შაქრის ლერწამი.

სულ კი ქვეყანაში 1967 ბრიგადამ, რომლებშიც გაერთიანებულია 80 ათასზე მეტი კაცი, ვალდებულება იკისრა წლევანდელ საფრის დროს თვითეულმა მოჭრას მილიონი არობი ლერწამი.

საkდესი და უცხოეთის პრესის საagენტოები იტყობინებიან

„ნუესტრა პალაბრა“ ამხილებს ჩილეს ფაშიზმს

ლ ი მ ა

რეაქციის თავხედურ გამოსვლებს — საkადრისი პასუხი

ვაშინგტონი

ჯ. კენედის მკვლელობის კიდევ ერთი ახალი ვერსია

ჭეშმარიტების ახალი ნაშიერი

ეიმარ ანტიკომუნისტთა, „ცივი ომის“ მომხრეთა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღტაცებული არიან: მათ ახალი ძალა შეემატათ. ახალი პოლიტიკური პარტია „თავისუფალი გერმანიის კავშირი“, ანდა შემოკლებით თგკ, ამას წინათ წარმოიშვა იმ რეაქციული ორგანიზაციის ბაზაზე, რომელიც დასავლეთ ბერლინში 1974 წლის გაზაფხულიდან მოქმედებდა და იმავე სახელწოდებას ატარებდა.

რისთვის დასჭირდა ყოფილ „კავშირს“ თავისი გარდაქმნა პარტიად? სამე ეს არის, რომ შორს არ არის ყამი, როცა დასავლეთ ბერლინში მოეწყობა თვითმმართველობის საქალაქო და რაიონული ორგანოების არჩევნები. როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავისუფალი გერმანიის კავშირს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და თავისი კანდიდატები წამოაყენოს. ხოლო როგორც პარტია იგი არა მარტო აპირებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, არამედ იმის იმედიც აქვს, რომ ხმების რვა პროცენტი მაინც მიიღოს. ყოველ შემთხვევაში ასე განაცხადა პრეს-კონფერენციაზე თავისუფალი გერმანიის კავშირის წარმომადგენელმა ფრანც შენკმა.

პარტიის პროგრამა, ბუნებრივია, სენსაციიურს არაფერს შეიცავს. მასში ეხედავთ შემარჯვენეთათვის ჩვეულ ანტიკომუნიზმს, გამოხდომებს სსრ კავშირის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. მაგრამ ზოგი რამ ახალიც არის: პარტიამ თავი გამოაცხადა... „დემოკრატიული პატრიოტიზმის“ მომხრედ და მის დასაცავად ბრძოლაში ისწრაფვის მთელი თავისი არცთუ დიდი შემადგენლობით.

„პატრიოტიზმის“ დამცველებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თგკ-ის გამგეობის შემადგენლობის მიხედვით, რომელშიც მედის „ყოფილთა“ — ყველა ჯურის გარეწარნი, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან განდევნილთა მთელი გალერეა: გამგეობის თავმჯდომარეა დასავლეთ ბერლინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი. დასავლეთ ბერლინის გერმანულ პროფკავშირთა გაერთიანების ყოფილი თავმჯდომარე ერნსტ შარნოვსკი, თავმჯდომარე — საქმეთა მმართველი — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი ვალერ ია ოროშევიჩი, თავმჯდომარის მოადგილე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი, მისი შემადგენლობიდან გარიცხული ჰაინც დროგული და სხვები — და სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გამგეობის ახლანდელმა თავმჯდომარემ ვ. ლუდერმა ახალ პარტიას უწოდა „ნარევი პოლიტიკური ილუზიონისტებისა, „ცივი ომის“ გაუსწორებელი მომხრეებისა და ანგარიშიდან ჩამოწერილი პოლიტიკოსებისა“ და განაცხადა, რომ „თგკ-ის პოზიციამ, რომელიც მტრულია დაძაბულობის შენელებისადმი, შეიძლება ზიანი მიაყენოს დასავლეთ ბერლინს“.

ვერც კი მოასწრო კვერცხიდან გამოჩეკილიყო, რომ ახალმა პარტიამ გააჩაღა კრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის და, თავისი ყოფილი მოკავშირის ქრისტიან-დემოკრატთა კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წინააღმდეგაც კი და ყველას ბოლი დასდო... აღმოსავლეთის ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა

საერთაშორისო კომენტარი



ჯ ოლომბოს ნავსადგურში აღმართულია შრი-ლანკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნაგებობა. ეს არის წისქვილკომბინატი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიური ხელშეწყობით აიგო. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოში ფქვილის მოხმარების 25 პროცენტს. უახლოეს ხანებში ეს საწარმო საგრძნობლად გაფართოვდება და მისი სიმძლავრე 80 პროცენტით გაიზრდება.

ბუენოს-აირესი, 6 თებერვალი. (საკდესი). არგენტინის ყოველკვირეული „ნუესტრა პალაბრა“ აქვეყნებს ცნობებს მორიგ რეპრესიებზე ჩილეში, აგვიწერს, თუ როგორ უსწორდება ფაშისტური ხუნტა პატრიოტებს.

ამ ცოტა ხნის წინათ სანტიაგოში, წერს „ნუესტრა პალაბრა“, გაიმართა პროცესი სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის „საქმის“ გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ „ამბოხება“. ტრიბუნალმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჩილეში ცნობილი „სიკვდილის გენერალი“ არელიანო სტარკი, ყველა განსასჯელს სანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. მსჯავრდებულთა შორის არის პოდპოლკოვნიკი ფერნანდო რევეკო ვალენსუელა, რომელმაც უარი თქვა გაეცა ბრძანება ცეცხლი დაეშინათ „ჩუკიკამატის“ სპილენძის მაღნის საწარმოს მაღაროელებისათვის, აგრეთვე შეესრულებინა არელიანო სტარკის განკარგულება 12 პატიმრის დასვრეტის შესახებ, მეორე მსჯავრდებულმა — პოდპოლკოვნიკმა ეფრანინასამდეგ. ლეიტენანტმა კარლოს პერესმა, რომელმაც უარი თქვა დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობაზე, პროცესზე განაცხადა: „შეიარაღებულ ძალებში შევედი, რათა დავიცვა სამშობლო და არა იმისათვის, რომ ჩემი თანამოქალაქეების ჯალათი ვიყო“.

სანტიაგოსა და ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში ჩხრეკა-დაპატიმრების ახალი სერია განხორციელდა.

წამებამ და ტერორმა ვერ დაამინა ჩილელი პატრიოტები. ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი დღითიდღე ძლიერდება.

დევნიან კულტურის მოღვაწეებს

კარაკასი, 6 თებერვალი. (საკდესი). ჩილეს კულტურისა და ხელოვნების პროგრესულმა მოღვაწეებმა დეკანოზ ოლაბარიაგა ამ ბამართულ პრეს-კონფერენციაზე ჩილელმა კინემატოგრაფისტმა პაბლო პერელმანმა.

ჩილეში ახლა ფაშიზმის შავბნელი წყვდიადია. ქვეყანაში გამეფებულია ტერორი, შიმშილი, უმუშევრობა. ფაშისტური ხუნტა ძალადობენ, მხეცურად უსწორდება უდანაშაულო ადამიანებს, კულტურული ცხოვრება ჩილეში ჩაკვდარია, თქვა პ. პერელმანმა. რეაქციული მხედრიონის ბატონობის პერიოდში დაამთავრეს მხოლოდ ერთი ფილმი — „აღმქმელი ქვეყანა“, მაგრამ მისი პრემიერა არ შემდგარა: სეანსის დაწყების წინ მოსულმა პოლიციამ კონფისკაცია უყო ფაშისტი ცენზურების მიერ ძალზე შეკვეცილ ლენტს და დაუპატიმრა მისი შემქმნელნი. პ. პერელმანმა მოიყვანა გრძელი სია ცნობილი ჩილელი კინორეჟისორების, ოპერატორ ე ბ ი ს და აქტიორებისა, რომლებიც საპატიმროში ჩასვეს ან დახვრიტეს ფაშისტებმა.

ვინც „საlუტს“ მართავს

რეპორტაჟი ფრენის მართვის ცენტრიდან

ყ ოველთვის, როცა ფრენის მართვის ცენტრში ძმამადალი კავშირგაბმულობის დინამიკებში გაისმის კოსმონავტების ომახიანი ხმა, ასე გგონია, რომ „სალუტ-4“ სადღაც აქვე ალოს მიფრინავა. სინამდვილეში სადგური ხშირად ამ წუთებში საათში 28 ათასი კილომეტრი სისწრაფით მიაქრის სადღაც მეორე ნახევარსფეროში. მის ფრენას ოვალს ადევნებენ სამეცნიერო ხომალდის— „აკადემიკოს სერგი კოროლიოვი“ მბრძნობიარე ანტენები, რომელიც ანლა კანადის აღმოსავლეთ ნაპირთან სეანლის კუნძულის მახლობლად არის.

ეს მცურავი რადიოგასაზომი კომპლექსი უკიდურესი წერტილია იმ სადგურების, გამშტოებელ ქაელში, რომლებიც ამ დღეებში კოსმოსურ ვახტაზე დგანან და დაკავშირებული არიან ფრენის მართვის ცენტრთან. „იმათ შესახებ, ვინც „სალუტს მართავს“ — ასეთი იყო თემა მორიგი პრეს-კონფერენციისა, რომელიც ფრენის ხელმძღვანელის სამუშაო კაბინეტში გაიმართა. უკვე ერთი კვირაა „დედამიწა-ორბიტის“ კავშირგაბმულობის ხაზზე აღარ გაისმის ალექსი ელისეევის თანაბარი და მუდამ ალეურსიანი ხმა, რომელიც ამ კოსმოსურ შტაბს მეთაურობს უკანასკნელ პილოტირებულ ფრენაში. ხუთთვენახევრის შემდეგ იგი დადგება კოსმოსური დუეტის „სოიუზ“-„აპოლონის“ მართვის საბჭოთა პულტთან. იგი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჰიუსტონში მიმდინარეობს საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტების ერთ-ერთი დამამთავრებელი შეხვედრა ერთობლივი ფრენისათვის მზადების პროგრამით.

ამ დღეებში ელისეევი „კოსმოსურ საკვესთან“ შეცვალა ვადიმ კრავეცმა — გამოცდილმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა. „სალუტ-4“ სადგურში მუშაობის მთელ პროგრამას ყოველ ცვლაში მართავს ასამდე ყველაზე კვალიფიციური ინჟინერი და მეცნიერი. თვითეული მათგანი წარმოადგენს იმ საკოსმოსურ-ტექნიკურ ბიუროების, სამეცნიერო ინსტიტუტების, ქარხნების კოლექტივებს, რომლებმაც ფრენისათვის მოამზადეს ხომალდი, სადგური, სამეცნიერო მოწყობილობა, ახლა კი ყოველდღე, ყოველ საათს დაკავშირებული არიან მართვის ცენტრთან.

ფრენის ხელმძღვანელი ყველაზე მოუცლელი კაცია ფრენის მართვის ცენტრში. წარმოიდგინეთ: დედამიწის ირგვლივ სამუშაო გარშემოვლის 90 წუთიდან 15-20 წუთი ხმარდება ყველაზე პასუხსაგებ მომენტს, ეკიპაჟთან კავშირის სეანსს, კოსმონავტებისათვის ოპერატიული მითითებების, ანა თუ იმ ოპერაციის შესახებ კონსულტაციების მიცემას. ყოველი სეანსის შემდეგ სელექტორით წარმოებს მართვის ყველა მთავარი სამსახურის გამოკითხვა, მათი შენიშვნების გაანალიზება. შემდეგ იმართება კონსილიუმი მომდევნო გარშემოვლის პროგრამის დასაზუსტებლად. და აი სადგური ისევ გამოჩნდება რადიოკორიზონტზე და ინთება წითელი ტაბლო: „ყურადღება! მიმდინარეობს სეანსი“, რომელიც აქ ცენტრის მუშაობის მთელ რიტმს განსაზღვრავს. აი რატომ იყო ასე ხანმოკლე ეს პრეს-კონფერენცია.

— რობერიო ინფორმაციის მოცულობა, რომელიც ოპერატიულად მუშავდება ცენტრში ფრენის მსვლელობაში?

— სადგურში (ხომალდთან ერთად) 2,5 ტონაზე მეტი სამეცნიერო მოწყობილობა, ორი ათასზე მეტი ხელსაწყოა. პრაქტიკულად ერთდროულად შესაძლებლობა გვაქვს დავამუშაოთ რამდენიმე ათასი გაზომვა.

— მონაკემეების ასეთ ოკეანეში შეიძლება დაიხრჩო. ვინ ასარისსებს და ამუშავებს სადგურიდან მოსულ ამ „რეპორტაჟს“?

— რა თქმა უნდა, ამ ნაკადის მართა შეფასება კი არა, გადარჩევაც შეუძლებელია ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის გამოუყენებლად. ჩვენს გამოთვლითს ცენტრში მუშავდება ყველაფერი, რაც საჭიროა ოპერატიული კონტროლისათვის, დანარჩენ ინფორმაციას იწერს მაგნიტური მეხსიერება, გადაეცემა საანალიზოდ საკოსმსტრუქტორო ბიუროებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს და მოგვიანებით დამუშავდება.

— რისგან შედგება ეკიპაჟთან კავშირის ჩვეულებრივი სეანსი?

— ჯერ ერთი, სეანსისათვის მზადებისაგან. ფრენის ცვლის ხელმძღვანელის სამუშაო ადგილი, რომელიც კავშირის სეანსს აწარმოებს, გულდასმით მზადდება. მას ყველაფერი ხელთ უნდა ჰქონდეს, თვითეული ციფრი, თვითეული გრაფიკი უნდა ექვემდებარებოდეს ერთ მიზანს — გადაწყვეტილება ყოველგვარი, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენთან, ყველაზე შტატგარეშე სიტუაციის შესახებ მიღებული უნდა იყოს უმოკლეს ვადაში და გადაეცეს ეკიპაჟს.

— თუმცა, ყოველგვარი, ყველაზე ორგანიზებული სისტემაც კი, — სიტყვა ჩაურთო ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინე ფეოკტისტომ, — წარმოუდგენელია, თუ უკუკავშირი არა აქვს. მას არ შეუძლია შეეწყოს რეალურად ცვლად სიტუაციას. და ამ თვალსაზრისით სადგურის ეკიპაჟი პროგრამის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს. გუბარევსა და გრეჩკოს უნარი შესწევთ „ინსტრუქციისა“ და პროგრამის სტრიქონებს მიღმა დაინახონ არა „პროგრუსტეს სარეცელი“, არამედ ტრანზისტორული შემოქმედებითი გადაწყვეტისათვის. კოსმონავტები ფ რ ე ნ ი ს დროს მეცნიერთა და ინჟინერთა თანაავტორები გახდნენ სხვადასხვა სფეროში — შეგვთავაზეს „ოზონისის“ ბიოლოგიური სისტემის წყალმომარაგების ახალი წესი, გადავიდნენ ტელემეტრიული კომუტატორებისათვის ინფორმაციის განაწილების უფრო რაციონალურ მეთოდზე, სიამოვნებით ასრულებენ დამატებითს ოპერაციებს რენტგენული ტელესკოპის „ფილონის“, მზის სპექტრომეტრებისა და სხვა სამეცნიერო ხელსაწყოების მუშაობის რეჟიმების უწრუნველყოფისათვის.

„ნუ ფელავთ, მეგობრებო, ორბიტაზე სისუფთავის გამო, — თქვა ეკიპაჟის მეთაურმა, — ჩვენი „ნაგავსადენი“ უნარჩენოა — ყველაფერი იწვება ატმოსფეროსთან შეხებისთანავე“.

ერთი საათით ადრე, სანამ დასაძინებლად დაწვებოდნენ (დღეს სამუშაო დღე სადგურში ღამის სამ საათზე დამთავრდა), კოსმონავტები ჟორტურნალებს მიუსხდნენ. ეს ანალიზის საათია, ფიქრის საათია, უნდა განიხილონ გაკეთებული, გამოიანგარიშონ, თუ რა „ვალი“ დარჩათ დღის პროგრამით, და თუ „ვალი“ დარჩ

საქართველოს ეთერ-ბარეთი

მკითხველმა წერილი გამოგზავნა

□ **რუსთავი.** მარტენის ხაამქროში ესა თუ ის ბრიგადა ყველაზე კარგ მაჩვენებელს რომ მოიპოვებს, მას სპეციალური ფიური გადასცემს საყოველთაოდ ცნობილი მეტალურგის გ. სიგუას სახელობის თასს.

ეს ჯილდო ამჟამად ხელთ უპყრია ი. გურგენიძის მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელმაც მარშან მაღალი მაჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვა მეფოლადეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჯ. ხახაზვილი.

□ **ხელვაჩაური.** სოფელ ზედა განთიადს ეწევიენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები და ჯ. ყიქორაშვილი და ჯ. კიპაშვილი. ისინი ახალგაზრდებს ესაუბრნენ პროფესიული სასწავლებლების როლსა და მნიშვნელობაზე, მისცეს რჩევა-დარიგება.

განთიადელი მოსწავლეები ეწევიენენ ბათუმის № 1 და № 44 პროფტექნიკურ და № 76 ტექნიკურ სასწავლებლებს, დაათვალიერეს კლასები, კაბინეტები, საერთო საცხოვრებლები, გაეცნენ ახალგაზრდების ცხოვრებას.

გ. ჩხაიძე.

□ **ცხინვალი.** ადგილობრივ მუსიკალურ სასწავლებელში საქართველოს ფილარმონიის მუსიკოს-შემსრულებელთა ძალებით მოეწყო ლექცია-კონცერტი თემაზე: „მუსიკალური ფორმები და ჟანრები". მასში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ა. გელეიშვილმა, ვ. კანდელაკმა, ნ. ნადიბაიძემ, სოლისტებმა ლ. ასათიანმა, გ. ტოროშელიძემ და სხვებმა. ლექცია-კონცერტს ხელმძღვანელობდა მუსიკისმცოდნე ვ. გურეკიანი.

ლ. ჭელეგია.

□ **ძველა.** სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ზეპირი ჟურნალი „ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მომავალია", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომის მდივნებმა გ. საკანდელიძემ, შ. ბერიძემ, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორმა ი. ჯაფელმა, კულტურის განყოფილების გამგემ ი. ანანიძემ.

ზეპირ ჟურნალში მონაწილეობდნენ აჭარის კულტურის სამინისტროს ავტოკლუბისა და სარაიონო კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაკები.

შ. მაზარაძე.

ხელოვანი

ცისანა ვარინდაშვილის პერსონალურ გამოფენაზე

ხელოვნების მუშაკთა სახლის ხელოვნებათმცოდნეობის ფილიალში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორის ცისანა მარინდაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია გობელენები, ხალიჩები. მსგავსი გამოფენა რესპუბლიკაში პირველად მოეწყო.

ათვალიერებთ ექსპოზიციას და გიზიდავთ შალის, აბრეშუმისა თუ სინთეტიკური მასალებისაგან შესრულებული იშვიათი ქსოვილის გობელენები, აფერადებული ხალიჩები, ქეჩები, რომლებშიც ნიჭიერ მხატვარს თავისი ნაფიქრი და ნაოცნებარი ჩაუქსოვებია. გხიბლავთ ხელოვნების ემოციური, შთამბეჭდავი ხელწერა, გეთვალთ ფერები, რომანტიკული ასოციაციები. ნამუშევართა უმეტესობა ეროვნულ მოტივებზეა შექმნილი. მთავან აღსანიშნავია „ოცნება", „ბახსოს?" „ზღაპარი", „ქორწილი მთაში". გამოირჩევა აგრეთვე თანამედროვე დეკორატიულ მოტივებზე შექმნილი ნამუშევრები.

რ. მუხიგულაშვილი.

□

სხვა გაზეთებიდან

ვგელი კი ცოცხალი აღმოჩნდა...

საინტერესო ამბავი გადახდა სელემჯინის (ამურის ოლქი) სახელმწიფო სარეწაო მეურნეობის მონადირეს გ. კოლრაბელნიკოვს. იგი მხეცზე ნადირობდა მდინარე მეუნის აუზში, იმ რაიონში, სადაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალი გაივლის.

ემულოდნელად ძაღლმა მგელი ზედ მიაგდო მონადირეს. კოლრაბელნიკოვმა ერთი გასროლით ძირს დასცა ნადირი. მონადირემ ნანადირევი ზურგზე მოიგდო და გასწია თავისა საზამთრო ადგილსამყოფელისაკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. კოლრაბელნიკოვმა ხელში მწვავე ტკივილი იგრძნო. უკან მიხედა: მგელი ცოცხალია! მგელმა ან გრძნობა დაკარგა ან მოიმკედარუნა თავი. ახე იყო თუ ისე, ის გაეფარებული სწვდა ხელში მონადირეს. ცხარე ჭიდილი გაიმართა, რომელშიც გამარჯვება ადამიანს ხვდა წილად.

ამ ეპიზოდს აგვიწერს გაზეთი „ამურის პრავდა".

ზაქართველოს ჟურნალებზე

საქართველოში ყოველ წელს იზრდება სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზების რიცხვი. ბიჭვინთაში დამთავრდა კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერის მშენებლობა. ზურმუხტოვანი ყურეს ნაპირზე აღიმართა გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პანსიონატ-პროფილაქტორიუმის ოთხსართულიანი შენობა. პანსიონატმა მიიღო პირველი დამსვენებლები — საბჭოთა მეურნეობის მოწინავეები, აგრეთვე საქართველოს ხუთადასვა საბჭოთა მეურნეობის მუშები. ახლახან დამტკიცდა ჯავაში 500-ადგილიან სანატორიუმ „ლიახვის" (ავტორები — არქიტექტორები გ. გელაშვილი და უ. თამრაზოვა) ტექნიკური პროექტი.

სურათებზე: ზემოთ გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პანსიონატ-პროფილაქტორიუმის შენობა; ასეთი იქნება მალმთიანი სანატორიუმი „ლიახვი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)



ტელევიზია

პირველი პროგრამით

□ 10 თებერვალი

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად. ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის — „მინდა ყველაფერი ვიცოდე", 18.35 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.55 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი", 19.20 — „შემსვლელი გეგმას — რეალური საფუძველი", 19.55 — კინონარკვევი „ტონშტადტი", 20.10 — „ლიტერატურული ალმანახი", 21.00 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი. „ცეცხლის თაყვანისცემა". დასასრული — ახალი ამბები.

□ 11 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა. 11.00 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. სატელევიზიო ფილმი „დიადი გამარჯვება", 12.00 — მხატვრული ფილმი „ბაპირზე ჩამოსვლა", 16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 17.40 — ბავშვებისათვის ნახატი ფილმი „ჭორფლიანი ბიჭუნა ზოოპარკში", 17.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 18.35 — მოსწავლეთათვის. „ტყეში ბევრი ზღაპარია". 19.00 — ამხანაგური მაჩი ფეხბურთში, „დინამო" (თბილისი)-საბჭოთა კავშირის ნაკრები, 20.45 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად", 21.15 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ქალაქები და წლები" (პირველი სერია), დასასრული — ახალი ამბები.

□ 12 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 11.00 — ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ყუბანელი კაზაკები", 12.55 — სატელევიზიო ფილმი „სახლი", 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — სატელევიზიო ფილმი „მთაგონება", 18.00 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „მოზარდი და მუსიკა", 19.15 — „ზრდის ტემპი სადღეისო მოთხოვნათა დონეზე", 19.45 — „საუბარი თანამედროვე ქართულ პროზაზე", 21.00 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ქალაქები და ადამიანები".

□ 13 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ნორჩების შემოქმედება", 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „აბლუატიკა" (პირველი სერია), 12.00 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ვალსი", 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.50 — განცხადებები, 18.00 — „გაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად!" (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 19.00 — „მიწა გონივრულად გამოვიყენოთ", 19.20 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჭორფლიანი ბიჭუნა სტუმრად ბებიასთან", 19.30 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები", 19.50 — „მუსიკის მოყვარულთათვის". ჰ. ჩაიკოვსკი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ასრულებს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. სოლისტი — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ეფერ ანჯაფარიძე, 20.45 — „რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად" — ნ. დუმბაძის პიესა, 21.35 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — საესტრადო კონცერტი, 22.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — სპორტული მიმოხილვა, 23.35— ახალი ამბები.

□ 14 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ჯოცონი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „აბლუატიკა" (მეორე სერია), 12.00 — მხატვრული ფილმი „აბიტურიენტი", 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ადამიანის სამსახურში" (ქართულ ენაზე), 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის „ჩვენი კალენდარი", 18.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი", 19.35 — „მეცხრე ხუთწლეული დამკვრელი", 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — „ოქროპირი" — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 20.50 — კინონარკვევი „იაკუტიის ეტიუდები", 21.00 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეკლესიკური სიმფონია", 23.30 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ეროვნული ფერადი ტელევიზიის ... ამბები.

□ 15 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20—ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30—ფერადი ტელევიზია. „მოდი, ზღაპარო!", 11.00 — „თქვენთვის, შმობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შევისწაოლოთ ქართული ენა", 12.15 — სატელევიზიო ფილმი „შრომა", 12.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.25 — ნახატი ფილმი „რეკსი-პოლიგლოტი", 13.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული ბრიგადა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — ნახატი ფილმი „რეკსი-დამცველი", 15.10 — ხპორტული მიმოხილვა — ფეხბურთი, 15.40 — ქართული მხატვრული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი", 17.00 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა", 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბომბე ხალხთა ხელოვნება" — „აზიისეთის სსრ, 18.50 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა (გამეორებით), 19.35—„კანონიერების სადარაჯოზე", 19.55—კონცერტი, 20.25 —„ოამამბე"—საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ფერადი ტელევიზია. მინიატურების სატელევიზიო თეატრი „13 ხასმი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური პანორამა". დასასრულ — ახალი ამბები.

□ 16 თებერვალი

10.00 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა", 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ბავშვიბარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა", 12.00 — „მუსიკალური კოსტაკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — გადაცემა ციკლიდან „სამყარო და ჩვენ" (ქართულ ენაზე), 13.05 — „საუბარაკო სკოლა", 13.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცხრაკლიტული" (გამეორება), 14.40 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „მიშკა, სერეგა და მე", 16.25 — კონცერტი, 16.55 — „გაბედული ფოტომონადირე", 17.10 — „ჩვენი კინოკალენდარი", 18.00 — ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან), 20.30 — „დაპირებები ქაღალდზე დარჩა", 21.00 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ლურჯი გურდღლები", 24.00 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

... ეკრანზე

7 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. ტელესტუდია „ორლიოლოგის" საკოცერტო დარბაზი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — საყართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „მესამე", 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 17.50 — „დიდება შრომას" — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. მხატვრული ფილმი „ბოკლეტი". 18.20 — „ბავშვებისათვის. „ბოლ ... 19.20 — „ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჭორფლიანი ბიჭუნა სტუმრად ბებიასთან", 19.30 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები", 19.50 — „მუსიკის მოყვარულთათვის". ჰ. ჩაიკოვსკი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ასრულებს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. სოლისტი — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ეფერ ანჯაფარიძე, 20.45 — „რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად" — ნ. დუმბაძის პიესა, 21.35 — „ოამამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — საესტრადო კონცერტი, 22.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — სპორტული მიმოხილვა, 23.35— ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მასწავლებლის საათი. ქიმია, 18.50 — სატელევიზიო ფილმი „ბურნასის ყდაზე დახატული გოგონა", 19.10 — მასწავლებლის საათი. ხაზვა, 19.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმები „ძვირფასი ქვები" და „კარპატული ესკიზები", 20.35 — განცხადებები, 20.40 — სატელევიზიო სპექტაკლი „ქალაპატონი გლეხის გოგო".

რადიო

8 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტაავარჯიში, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — გაზეთი „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — დ. ჩხეიძე. კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — საუბარი „ზრუნვა ომის ვეტერანებზე", 12.15 — ა. მაჭავარიანი. ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — მღერის ვაჟთა ოკესტრი ოქტეტი ბ. სატელიშვილის ხელმძღვანელობით, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.50 — ვ. აზარაშვილი. მეორე სავიოლინო კონცერტი, 14.05 — „დიდება შრომას!" — ლექსები, 14.30 — თ. გოდერძიშვილი. „სილში გამომწყვდეული ბიღურასავით". რადიოდადგმა, 16.15 — კონცერტი. ი. დუნაევსკის ნაწარმოებები. 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ბავშვებისათვის. საყმაწვილო ოპერა „ციცქნა იას დღეობა", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ესტრადის ოსტატთა კონცერტი, 19.30 — „მწერალი და ცხოვრება", 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — კონცერტი ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ხ. პროკოფიევი. „კლასიკური სიმფონია", 21.30 — „საღამო მშვიდობისა!", 23.30 — უკრავს თ. ამირეჯიბი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



თეატრები

7 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲣᲕᲐᲠᲣᲕᲐᲠᲘ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲗᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲜᲘ; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲐᲠᲨᲘᲜ-ᲛᲐᲚ-ᲐᲚᲐᲜᲘ.

საქართველოს კომკავშირის სახელობის ცენტრალური რესპუბლიკური კულტურის სახლის გაზეთი იქმნება ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიული ანსამბლი

ანსამბლის დაკომპლექტებისათვის ცხადდება კონკურსი მომღერლების, მოცეკვეებისა და ქართული ხალხური საკრავების შემსრულებლებზე: სტვირზე, ჩანგზე, ჭიანურზე, ჩონგურზე, ფანდურზე, დაირაზე, სალამურზე, დიპლიპიტოზე, დუდუკზე, ქართულ გარმონზე და მხატვრულ კითხვაზე.

ანსამბლი იმეცადინებს 1975 წლის 15 თებერვლიდან ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს საღამოს 6 საათიდან.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად და დირიჟორად მოწვეულია საქართველოს მოსწავლეთა მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი, ლოტბარი ვაჟა სერაფიონის-ძე ფალი.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირისა დილის 9-დან საღამოს 8 საათამდე. ანსამბლის მეცადინეობა ჩატარდება კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში (პირველი მაისის ქ. № 10). ტელეფონი: 93-13-45; 93-54-89, 93-54-44;

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲛ



ვირუსები — კიბოს გამომწვევი?

ეს იდეა ახალი არ არის — იგი ნახევარი საუკუნის წინათ გამოითქვა. სხვადასხვა ცხოველებში (ბაყაყებიდან და გველებიდან დაწყებული მაიმუნების ჩათვლით) აღმოჩენილია 40-ზე მეტი ვირუსი, რომლებიც იწვევენ ლეიკოზს, სარკომას და სხვა ავთვისებიან სიმსივნეებს. ჯანმრთელ ცხოველში ვირუსის შეყვანით ვითარდება ავთვისებიანი პროცესი, ანუ როგორც მეცნიერები ამბობენ, ავადმყოფობა შეიქმნება ექსპერიმენტულად. ეს ხდება ცხოველებში. ადამიანებთან კი ეს საქმე უფრო სერიოზულად დგას. საკმარისია ითქვას, რომ ჯერ კიდევ აქამდე არსებობს კიბოსა და ლეიკოზების ვირუსული ბუნების წინააღმდეგ ადამიანის წინასწარი განწყობილება. როგორც ცნობილია, წინასწარი განწყობის უკუგდება უფრო ძნელია, ვიდრე დარწმუნებისა.

ვირუს — „კანდიდატების" ადამიანის კიბოს გამომწვევის როლში გამოყენების მთავარი სიძნელე ის არის, რომ ადამიანებზე ექსპერიმენტის ჩატარება არ შეიძლება, ოღონ შესაფერი ლაბორატორიული ცხოველის შერჩევა არ ხერხდება. გამოსაკლისს წარმოადგენენ მაიმუნები. მაგრამ აქაც ვხვდებით დაბრკოლებას. მაიმუნები ხშირად ატარებენ საკუთარ „მაიმუნურ" ვირუსებს, რომლებიც საერთო ანგარიშით ჰგავან ადამიანის ვირუსებს. ასეთი „ორეულების" არსებობა ხშირად ხლართავს მდგომარეობას და აძნელებს ანალიზს. გარდა ამისა, ონკოგენური ვირუსები თავისთავად ჭირვეულნი არიან და მიდრეკილება აქვთ „შენიღბვისაკენ".

როგორ აღმოვაჩინოთ ისინი? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ მათი „თვისებები". ცნობილმა საბჭოთა ვირუსოლოგმა ლევ ზილბერმა 30 წლის წინათ დაამუშავა კიბოს წარმომობის ვირუსოგენეტიკური თეორია. მან ივარაუდა, რომ ნუკლეინის მჟავა ქმედებს ქსოვილის მემკვიდრეობითს აპარატში. ასეთი დანერგვა უკვალოდ არ იკარგება — ქსოვილი იძენს ახალ თავისებურებებს. ერთ-ერთი მათგანია სწრაფი გამრავლების უნარი. ასე წარმოიქმნება ახალგაზრდა სწრაფადმზლადი ქსოვილების კერა. თანდათან ისინი იძენენ შეუჩერებელი ზრდის თვისებებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება სიმსივნე. ამასთან სიმსივნეები თითქოს ალარ საჭიროებენ ვირუსს. მართლაც, უკვე წარმოქმნილი სიმსივნეში ძალიან ხშირად ვერ ნახულობენ ვირუსებს. ამან, საშუალება მოგვცა მივსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ ვირუსები სიმსივნის წარმოქმნაში ასრულებენ „ასანთის" როლს და შეუძლიათ მონაწილეობა არ მიიღონ „ხანძრის" გაჩენაში. ლევ ზილბერის თეორიამ ლოგიკურად ახსნა ასეთი გაუჩინარება. მაგრამ., მხოლოდ იმ ვირუსებისათვის, რომელთა შემკვიდრეობითი თვისებები დაცულია დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას მოლ/კულებში. ონკოგენური ვირუსების უმრავლესობა შედგება ცილოვანი გარსისაგან და რიბონუკლეინის მჟავასაგან. მაგრა გზით ახერხებენ ისინი „ჩასხდნენ" დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას უჯრედს ქრომოსომაში?

1965 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჰოვარდ ტემინმა წამოაყენა იმ დროისათვის პარადოქსული ჰიპოთეზა რიბონუკლეინის მჟავას მატრიცაზე დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას სინთეზის შესახებ. ეს საკმაოდ გაბედული წინადადება იყო, რადგან იგი უარყოფდა მოლეკულური ბიოლოგიის „ცენტრალურ დოგმას" — ინფორმაციის ფლოდინებს, რომლებიც ცხოველებში კიბოს დაავადების იწვევს. შემდეგ ვირუსოლოგებმა მოახერხეს გამოეყოთ ეს ნაწილაკები და შეესწავლათ მათი ინიციალური თავისებურებები.

აღმოჩნდა, რომ ახალი ვირუსები ყველა პარამეტრით შეესაბამებიან ონკოგენურ ვირუსებს. ახლა უკვე საქმეს ხელი მოკიდეს იმუნოლოგებმა. საჭირო გახდა შეემოწმებინათ, ნამოვნი ვირუსები ხომ არ არიან შემთხვევით შეტანილი სიმსივნეთა ვირუსების ჩვეულებრივი მატარებლების თაგვების, ქათმების ან კატების მიერ. გულმოდგინე ანალიზმა მეცნიერებს უარყოფითი პასუხი გასცა. იმედი მიეცათ, რომ აღმოჩენილი ვირუსები შეიძლება იყოს ადამიანში კიბოს წარმომქმნელი „კანდიდატები". ამას წინათ ჩვენ მივიღეთ ამ ვარაუდის დამადასტურებელი საბუთი — საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოყოფილი ვირუსები ნათესაური კავშირი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩენილ მაიმუნის კიბოს ვირუსებთან.

ამრიგად, აღმოჩენილია ონკოგენური ვირუსების ახალი ჯგუფი, რომლებიც ადამიანში და მაიმუნში კიბოს ნინნებს იწვევენ. მაგრამ როგორ გვაქვს საქმე მეორე, არანაკლებ ავთვისებიან ავადმყოფობასთან — ლეიკოზთან? იმ ირაკალი ცდიდან, რაც მიზნად ისახავდა ამ დაავადების ვირუსის „დაჭერას", მოგითხრობთ ერთ შემთხვევაზე.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეძლეს მიიმუნში გამოეწვიათ ლეიკოზი მას შემდეგ, როცა ცხოველის ორგანიზმში შეიყვანეს ავადმყოფი ადამიანის სისხლი. ამრიგად, მიიღეს ლეიკოზის ექსპერიმენტული მოდელი. გამოჩნდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ დეტალურად შეეს წავლათ ავადმყოფობის განვითარების პროცესი პირველი ეტაპიდანვე, როცა ორგანიზმი ჯერ ისევ ჯანმრთელი გვეჩვენება. პერსპექტივაში ასეთი მოდელი საშუალებას მოგვცემს ავადმყოფობის დასაწყისშივე დაესვათ დიაგნოზი და შეგუდგეთ სამეში დაავადების მკურნალობას.

კიბოს და ლეიკოზის პრობლემა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ დღეს უკვე რამდენად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ძმამავალში მედიცინას ხელთ ექნება ახალი ქმედითი იარაღი ამ ბრძოლაში, დაავადებებთან საბრძოლველად. უკანასკნელი წლების, თვეების აღმოჩენები, სწრაფი პროგრესი სიმსივნეთა შესწავლის საქმეში ქმნიან რეალურ პროგნოზს, რომელიც მიდგეულია ამ დარგის სპეციალისტთა გამოკითხვის შემდეგ. მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების აზრით, მიღწევები კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში უკვე 1988 წლისათვის თითქმის ორჯერ შეამცირებს სიკვდილიანობას ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან, ხოლო სიმსივნეთა საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნა 1997 წლისათვის პრაქტიკულად მოსპობს კიბოს დაავადებას.

ფ. ერშოვი,

პროფესორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ი. დ. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ონკოგენური ვირუსების განყოფ. გამგე.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲡᲘ

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲘ

კვლავ არ შედგა



გუშინ მოსკოვში უნდა გამართულიყო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა — ნანა ალექსანდრიასა (თეთრები) და ირინე ლევიტინას ფინალური მატჩის მეშვიდე პარტია. ი. ლევიტინას ავადმყოფობის გამო პარტია არ შედგა.

□

ლიდერი წინ მიიწევს

ლვოვში მიმდინარე ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურში შეჯიბრების ლიდერმა, ალმაათელმა მოუგო რაკემ ე. ვლადიმიროვმა დაამარცხა მოსკოველი ვ. კოზლოვი და კიდევ უფრო გაწამტკიცა თავისი მდგომარეობა — 7 ქულა.

თბილისელებმა ე. უბილავამ და მ. ზაიჩიკმა ფრად ითამაშეს ერთმანეთთან და ახლა ე. უბილავა ა. მიხალჩიშინსა და ს. პალატნიკთან ერთად 5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

მომდევნო ადგილებზე არიან კოროევი და ლერნერი — ხუთ-ხუთი ქულა.

□

„სპორტლოტოს" ტირაჟის შედეგები

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 30 იანვარს მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მე-3 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5 ათას მანეთს (83 ბარათი); ოთხისა — 99 მანეთს (6.861); სამისა — 4 მანეთს (165.041).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი გამოიცნეს კრასნოდარში ერთ ბარათში, მოგების თანხაა 5 ათასი მანეთი. ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 1.298 მანეთს (112 ბარათი); ოთხისა — 33 მანეთს (4.834); სამისა — 3 მანეთს (77.742).

მე-3 ტირაჟის მოგებებს შემნახველი სალაროები გასცემენ 11 თებერვლიდან 10 მარტამდე ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი 12 თებერვალს ეკამართება. (სკკ ლენი).